ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 1/220523/2

ქ. თბილისი **22 მაისი 2023 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, **სსიპ „შემოსავლების სამსახური“**, ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“); იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16; ს/კ: 204525585; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 70701

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორე მხრივ, **შპს „ედუტეკი“**, მისი დირექტორის, ზურაბ პერტაიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მაქს ტილკეს №5ა, ტელეფონის ნომერი: 551506070, ს/კ: 430806309, ელფოსტა: hello@edutech.ge; ბანკის დასახელება - სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი - TBCBGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - GE03TB7265936020100005

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა გამოაცხადა სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის რისკების მართვის სამმართველოს 30 თანამშრომლისთვის კიბანას ტრენინგ კურსის ორგანიზების (CPV-80511000 - მომსახურებები კადრების მომზადების სფეროში) შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი აუცქიონის გარეშე (სატენდერო განცხადების № NAT230009527) და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 18`950.00 (თვრამეტი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის რისკების მართვის სამმართველოს 30 თანამშრომლისთვის კიბანას ტრენინგ კურსის ორგანიზება ფასების ცხრილი - დანართი N1 და ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2. სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით დასრულების შემდეგ უნდა გაიცეს შესაბამისი ტრენინგის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა და დასრულდეს არაუგვიანეს 5 (ხუთი) კვირისა.

4.2. მომსახურების გაწევის ადგილად განისაზღვროს შემსყიდველი ორგანიზაციის სასწავლო სივრცე, საქართველო, ორხევი, აბზიანიძის №4. ასევე, შემსყიდველი ორგანიზაციის რეგიონებიდან დამსწრე თანამშრომლებისთვის უნდა იყოს ლექციაზე ონლაინ ფორმატში დასწრების შესაძლებლობა უზრუნველყოფილი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ შესრულებული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 პუნქტით და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ითა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა შესაბამისი მომსახურების მიღება, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ამავდროულად მიმწოდებელს განესაზღვრება 5 (ხუთი) სამუშაო დღე, რათა უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5.4. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების მიწოდებისას საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახური“- დან).

5.5. შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ ინსპექტირების, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტე(ბი)ს გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტების (მათ შორის საგადასახადო ანგარიშფაქტურა) წარმოდგენიდან (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ სრულყოფილი და დროული მომსახურება;
7.1.2. „შემსყიდველს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ნაკლის გამოსწორება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორსმაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების

პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი ხარისხის მომსახურების გაწევა, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნას:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

„შემსყიდველი“ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“**	**„მიმწოდებელი“** **შპს „ედუტეკი“**
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2023.05.22 18:47:27 +04'00'	eSigned by: ზურაბ პერტაია: c502f4ea-99b3-4052-af3d-e9e1.... Certified by Signify
მიხეილ ახვლედიანი **ფინანსური დეპარტამენტის უფროსი**	**ზურაბ პერტაია** **დირექტორი**

ფასების ცხრილი

№	მომსახურების დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)	მომსახურების გაწევის ადგილი ფაქტობრივი მისამართი	მომსახურების გაწევის ვადა
1	"კიბანას" ტრენინგის კურსი	1. კიბანას სრული ინტერფეისის განხილვა - Overview of apps 2. ინდექს პატერნების შექმნა - Creating index patterns 3. რატომ და როგორ გამოიყენება KQL - Kibana Query Language (KQL) 4. დროის ფილტრაციის გამოყენება და time zone-ის კონვერტაცია - Setting the time filter, How Kibana handles time zones, Changing Kibana's time zone 5. დისქავერი მისი სრული შესაძლებლობებით - Discover app 6. ქვერის შენახვა, გაზიარება და გამოყენება - Saving queries 7. ვიზუალიზაცია და მისი სრული შესაძლებლობები - Visualizations 8. ელასტიკსერჩის აგრეგაციები - Basics of Elasticsearch aggregations 9. მეტრიკული ვიზუალიზაცია - Metric visualization 10. რიცხვების ფორმატირება - Formatting numbers 11. ვერტიკალური ბარით ვიზუალიზაცია - Vertical Bar 12. სივრცითი ჩარტით ვიზუალიზაცია - Area chart 13. წრფივი ჩარტით ვიზუალიზაცია - Line chart 14. პაი ჩარტით ვიზუალიზაცია - Pie chart 15. ჩარტის ტიპის ცვლილება - Changing the chart type 16. ვიზუალიზაციის სერიებად დაყოფა KQL ფილტრების გამოყენებით - Splitting with KQL filters 17. რიცხვით დიაპაზონებთან მუშაობა - Working with numeric ranges 18. დინამიურ დიაპაზონებთან მუშაობა - Working with numeric ranges (histograms) 19. ცხრილებით ვიზუალიზაცია - Data tables 20. რუკებით ვიზუალიზაცია - Heat maps 21. გრაფიკებით ვიზუალიზაცია - Graphs 22. ვიზუალიზაციის ცვლილებები - Customizing visualizations 23. მიზნები და ინდიკატორები - Goals & Gauges 24. ვიზულალიზაციის შენახვა, გაზიარება და შენახულის გამოყენება - Linking visualizations to saved searches 25. შენახული ქვერის ვიზუალიზაციაში გამოყენება - Applying saved queries to visualizations 26. დაშბორდი და მისი სრული შესაძლებლობები - Dashboard 27. დაშბორდის შექმნა - Creating a dashboard 28. ვიზუალიზაციის ცვლილება დაშბორდიდან - Editing visualizations 29. ფილტრაცია პირდაპირ დაშბორდზე - Filtering documents 30. დაშბორდების ურთიერთდამოკიდებულება - Interactivity, Drilldowns 31. ელასტიკსერჩის და ლოგსთაშის ბაზისური განხილვა - Basic understanding of Elasticsearch 32. რეპორტინგი - Reporting and Alerting	30 მსმენელი	631.67	**18950**	**ორხევი, აზზიანიძის №4**	**კურსი უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა და გაგრძელდეს არაუგვიანეს 5 (ხუთი) კვირის განმავლობაში**
ჯამი					**18950**		

ორგანიზაციის დასახელება, ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი, გვარი:

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპი

eSigned by:
ზურაბ პერტაია: 21f15913-7084-416a-ba6d-c93....
Certified by Signify